

## ემანუელ აფხაიძე

დაიბადა ქუთაისში 1899წ. 29 აგვისტოს. იქვე დაამთავრა რეალური სასწავლებელი 1917–20 წლიდან დაიწყო მუშაობა ქუთაისის თეატრში სუფლიორად. 1920–23წწ. მუშაობა განაგრძო ბათუმის თეატრში სუფლიორად და მსახიობად. 1923–24წწ. იყო ქუთაისის თეატრის რეჟისორის თანაშემწე. 1924წ. დაიწყო მუშაობა სუფლიორად რუსთაველის სახელობის თეატრში და პარალელურად სწავლობდა იქვე არსებულ დრამატულ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1926წელს და დაინიშნა მსახიობად რუსთაველის თეატრში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ემანუელ აფხაიძე სუფლიორის ჯიხურიდან პოირველმა კოტე მარჯანიშვილმა ამოიყვანა, როდესაც შენიშნა მისი უდავო სასცენო ნიჭი ეპიზოდურ როლში სპექტაკლში ნ. აზინის „დეზერტირკა“ ამას მოჰყვა სხვა ეპიზოდური როლები: მეზღვაური სპექტაკლში „რღვევა“. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობის დროს ემანუელ აფხაიძე რუსთაველის თეატრში უკვე წამყვან როლებს თამაშობდა და ნიჟერმა მსახიობმა მალე დაიმკვიდრა მოწინავე მსახიობის სახელი. მან 100–მდე როლი ითამაშა ამ თეატრის სცენაზე და ყველა მათგანი გამოირჩეოდა შესრულების თავისებურებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლები: გონჯა (ს.შანშიაშვილის „არსენა“), სოლომონ მორბელაძე (დ.კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, მირზა (ი.მოსაშვილის „ჩაპირული ქვები“). დუდკინი (ა.ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), პანდოლოფო (კ.გოლდონის „საპატარძლო აფიშით“), დიეგო (კ.ფლეტჩერის „ესპანელი მღველი“) და სხვა.

ბევრი როლი ჰქონდა განსაკუთრებული ემანუელ აფხაიძეს კინოში. პირველად შიკრიკის პატარა როლი ითამაშა ფილმში „სურამის ციხე“, სადაც შემდეგ მრავალი კომედიური ხასიათის როლი მოჰყვა.

აღსანიშნავია ემანუელ აფხაიძის შემოქმედებითი მოღვაწეობა, როგორც ესტრადის მსახიობისა. ის ქართულ საბჭოთა ესტრადის ერთ–ერთი ფუძემდებელია.

დაჯილდოებულია მედლებით და ორდენებით:

1936წ. საპატიო ნიშნის ორდენით

1946წ. მედლით „კავკასიის დაცვისათვის“

1946წ. „შრომის წითელი დროშის“ ორდენით

1956წ. „ლენინის ორდენით“

1943წ. მიენიჭა რესპუბლიკის სახახლო არტისტის წოდება

1956წ. მიენიჭა სტალინური პრემია.

ემანუელ აფხაიძე გარდაიცვალა 1970წ. 9 ნოემბერს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ემანუელ აფხაიძის კადრების აღრიცხვის ფურცელი.  
1939წ. 16 ოქტომბერი. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
2. ემანუელ აფხაიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939წ. 16 ოქტომბერი. დასტამბული. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 4 გვ.
3. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს გოგუას ბრძანება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი. ემანუელ აფხაიძის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.  
1940წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1940წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
4. ემანუელ აფხაიძის ავტობიოგრაფია.  
1946წ. 23 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
5. ემანუელ აფხაიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1946წ. 23 სექტემბერი. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ. ახლავს ფოტოსურათი.
6. ემანუელ აფხაიძის ავტობიოგრაფია.  
1950წ. 2 ნოემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
7. ემანუელ აფხაიძის შემოქმედებითი დახასიათება.  
ხელს აწერენ: რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე ს. ადამია, თეატრის მთავარი რეჟისორი აკ.ვასაძე. 1950წ. 13 ნოემბერი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
8. ემანუელ აფხაიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1950წ. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
9. ემანუელ აფხაიძის საავტორო უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველოს სარეგისტრაციო ბარათი.  
1951წ. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.
10. ემანუელ აფხაიძის ავტოგრაფი.  
1954წ. 10 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
11. ემანუელ აფხაიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1954წ. 10 აპრილი. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ. ახლავს ფოტოსურათი.
12. ცნობა ექსპერტ ნ.ჩაჩუას მიერ შემოწმებული ემანუელ აფხაიძის ახალ საესტრადო მასალასთან დაკავშირებით. ადევს რეზოლუცია. ავტორთან ანგარიშის გასწორების შესახებ. ხელმოწერილი. გვარი არ იკითხება.  
1958წ. 29 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
13. ემანუელ აფხაიძის ბიოგრაფია.  
უთარულო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
14. ემანუელ აფხაიძის ავტობიოგრაფია.  
უთარულო. ავტოგრაფი. ბურთულიანი კალამი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
15. ემანუელ აფხაიძის პირადი ფურცელი კადრების აღრიცხვისათვის.  
უთარულო. დასტამბული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
16. ემანუელ აფხაიძის საანკეტო მონაცემები.  
უთარულო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
17. ემანუელ აფხაიძის ანკეტა.  
უთარულო. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.
18. ემანუელ აფხაიძის სამსახურეობრივი ცნობა.  
უთარულო. დასტამბული, ხელნაწერი, მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
19. ემანუელ აფხაიძის დახასიათება.

- უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
20. ემანუელ აფხაიდის მოკლე დახსიათება.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

21. ემანუელ აფხაიდის საესტრადო ნომერი „ჩემი გამოძიება“ .  
1936წ. 19 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.
22. ემანუელ აფხაიდის ლექსი „ექსპრომტი საშა აბაშელს“ .  
1944წ. 23 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
23. ემანუელ აფხაიდის საესტრადო ნომერი „ჩემი გაქურდვის შესახებ“ .  
1945წ. 30 ივლისი. ნაბეჭდი. 6 გვ.
24. ემანუელ აფხაიდის ლექსი „ერთი თვალის გადავლებით“  
1947წ. 21 თებერვალი. ნაბეჭდი. 3 გვ.
25. ემანუელ აფხაიდის საესტრადო ნომერი „ჩემი მოხსენება უმდივნოდ და  
უსტენოგრაფისტოდ“ .  
1947წ. 6 დეკემბერი. ნაბეჭდი. 4 გვ.
26. ემანუელ აფხაიდის ლექსი „ალექსანდრე ყაზბეგის პორტრეტიდან“ .  
1948წ. 30 სექტემბერი. ნაბეჭდი. 5 გვ.
27. ემანუელ აფხაიდის ლექსი „დღევანდელ ახალგაზრდობას“ .  
1948წ. 28 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 3 გვ.
28. ემანუელ აფხაიდის ლექსი „მორიდებული მიმართვა“ .  
1949წ. 17 დეკემბერი. ნაბეჭდი. 5 გვ. 2 ეგზ.
29. ემანუელ აფხაიდის ფელეტონი „სამგორი“ .  
1951წ. 20 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 5 გვ.
30. ემანუელ აფხაიდის საესტრადო ნომერი „ზოგი რამ“ .  
1953წ. 21 მარტი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 5 გვ.
31. ემანუელ აფხაიდის ლექსი „ჩემი ტკივილები და სურვილები“ .  
1954წ. 14 თებერვალი. ნაბეჭდი. 5 გვ.
32. ემანუელ აფხაიდის ლექსი „მიმართვა საბჭოთა ქალებს“ .  
1958წ. 15 ნოემბერი. ნაბეჭდი. 4 გვ.
33. ემანუელ აფხაიდის ლექსი „სახალხო პოეტს საყვარელ სოსოს“ .  
1959წ. 6 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 2 გვ.
34. ემანუელ აფხაიდის ლექსი მიძღვნილი გოგლა ლეონიძისადმი.  
1959წ. 28 დეკემბერი. ნაბეჭდი. 3 გვ.
35. ემანუელ აფხაიდის ლექსი „საბჭოთა ქალებს“  
1959წ. 30 დეკემბერი. ნაბეჭდი. 3 გვ.
36. ემანუელ აფხაიდის ლექსი „მადლიერი მოწაფისგან“ მიძღვნილი აკაკი ნესტორის  
ძისადმი.  
1962წ. 26 თებერვალი. ნაბეჭდი. 4 გვ.
37. ემანუელ აფხაიდის ლექსი „საზეიმო მილოცვა ნორჩებს“

- 1962წ. 18 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.
38. ემანუელ აფხაიძის ლექსი „მიმართვა ნიანგელებს“  
1963წ 26 ივნისი. ნაბეჭდი. 2 გვ.
39. ემანუელ აფხაიძის ლექსი მიძღვნილი ვიქტორ კუპრადისადმი.  
1963წ. 27 დეკემბერი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.
40. ემანუელ აფხაიძის უსათაურო ლექსი.  
1964წ. 20 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.
41. ემანუელ აფხაიძის ლექსი მიძღვნილი დავით იოსელიანისადმი.  
1964წ. 13 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.
42. ემანუელ აფხაიძის ლექსი „მიმოხილვა“  
1965წ. 6 მაისი. ნაბეჭდი. 5 გვ.
43. ემანუელ აფხაიძის ლექსი „სასიქადულო აკაკი“ მიძღვნილი აკაკი ხორავასადმი.  
1965წ. 1 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 5 გვ.
44. ემანუელ აფხაიძის ლექსი „გასაუბრება შოთასტან“  
1966წ. 29 მაისი. ნაბეჭდი. 5 გვ.
45. ემანუელ აფხაიძის ლექსი „საიდუმლო მოხსენება ღია კრებაზე“  
1967წ. 10 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.
46. ემანუელ აფხაიძის უსათაურო ლექსი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 4 გვ.
47. ემანუელ აფხაიძის ლექსი მიძღვნილი ნონა გაფრინდაშვილისადმი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.
48. ემანუელ აფხაიძის ლექსი მიძღვნილი სანდრო ჟორჟოლიანისადმი.  
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
49. ემანუელ აფხაიძის ლექსი „მორიდებული მისალმება“  
უთარილო. ნაბეჭდი. 3 გვ.
50. ემანუელ აფხაიძის ლექსი „წერილი კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს“  
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
51. ემანუელ აფხაიძის ლექსი „დეკემა სტუდენტებისგან“  
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.
52. ემანუელ აფხაიძის უსათაურო ლექსი.  
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
53. ემანუელ აფხაიძის ლექსი „ჩემი რეცეპტი“  
უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ. 2 ეგზ.
54. ემანუელ აფხაიძის ლექსი „დაგვიანებული ანგარიშის ჩაბარება დიდი ლენინს“  
უთარილო. ნაბეჭდი. 5 გვ.
55. ემანუელ აფხაიძის სასტრადო ნომერი „მიმოხილვა“  
უთარილო. ნაბეჭდი. 3 გვ.
56. ემანუელ აფხაიძის ლექსი „თანამედროვე იუდა“  
უთარილო. ნაბეჭდი. 6 გვ.
57. ემანუელ აფხაიძის ლექსი „წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილს“.  
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
58. ემანუელ აფხაიძის საესტრადო ნომერი „აჯაფსანდალი“ მე-19 სერია „აგარაკის გარშემო“.  
უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.

59. ემანუელ აფხაიძის საესტრადო ნომერი „ტრამვაი 5–ე ნომერი“ „აჯაფსანდალი“. უთარილო. ნაბეჭდი. 2 გვ.
60. ემანუელ აფხაიძის საესტრადო მასალის სია. უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
61. ემანუელ აფხაიძის მიერ შესრულებული როლების სია. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

#### სხვადასხვა

62. მოსაწვევი ბარათი ემანუელ აფხაიძის შემოქმედებით საღამოზე დასასწრებად ფილარმონიის საზაფხულო თეატრში. 1961წ. 19 ივლისი. დასტამბული. 1 ც.
63. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე აკაკი დვალიშვილის ბრძანება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსადმი. ემანუელ აფხაიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ. პირი: დ.ანთაძე. ვ. გომიაშვილი ს. ზაქარიაძე ერ. მანჯგალაძე. ზ. ჟღენტი. ა. ყიფიანი. ა. ძიძიგური ა. ხორავა. 1970წ. 9 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.